

## მომხმარებლის მოკლე სახელმძღვანელო

სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო სისტემაში მოცემულია სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა ასარჩევი ღილაკები და ძებნის შემდეგი პარამეტრები: საქმის ნომერი, გადაწყვეტილების თარიღი, საქმის განხილვის შედეგი, გადაწყვეტილების ძებნის სამი ტექსტური ველი. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებების ძებნა ასევე შესაძლებელია დავის კატეგორიისა და საკვაძო სიტყვის მიხედვით. ძიება შესაძლებელია, მოცემული პარამეტრებიდან, ნებისმიერი სასურველი კომბინაციის არჩევით.

გადაწყვეტილებების სრულ ტექსტში ძიება შესაძლებელია სამი ფრაზით, რისთვისაც გამოიყენება სამი სხვადასხვა ველი. საძიებელი ფრაზები უნდა ჩაინეროს ველებში ცალ-ცალკე და ამ შემთხვევაში მოიძებნება ის გადაწყვეტილებანი, რომელთა ტექსტებშიც ერთდროულად გვხვდება სამივე ფრაზა. ძიების შედეგების გასაუმჯობესებლად შესაძლებელია თითოეულ ველში რამოდენიმე ფრაზის ჩანერა. ამ შემთხვევაში ველში საძიებელი ფრაზები უნდა გამოვყოთ „@“ სიმბოლოთი. ველში ასეთი ფრაგმენტების რაოდენობა არ არის შეზღუდული. ძიების შედეგებში მოხვდება ის გადაწყვეტილებები, რომლის ტექსტებშიც მოიძებნება შევსებული ველის თუნდაც ერთი ასეთი ფრაზა. მაგალითად, თუ შევაფასებთ ორ ველს და თითოეულში ჩავწერთ 3-3 ფრაზას (და გამოვყოფთ „@“ სიმბოლოთი), ძიების შედეგებში მოხვდება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავენ პირველი ველის თუნდაც ერთ ფრაზასა და მეორე ველის თუნდაც ერთ ფრაზას. საძიებო პარამეტრების შეტანის შემდეგ ვაჭერთ ძებნის ღილაკს, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდება მონაცემთა ბაზაში არსებული იმ გადაწყვეტილებების რეესტრი, რომელიც აკმაყოფილებს არჩეულ საძიებო პარამეტრებს. რეესტრის დათვალიერება შესაძლებელია ღილაკებით „შემდეგი გვერდი“ და „წინა გვერდი“.

საძიებო პარამეტრების შესაბამისი ველების გასუფთავების მიზნით გამოიყენება ღილაკი „გასუფთავება“.